

## პრესრელიზი

### "საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა" სამთო სპეციალობებისთვის ახალი პროფესიული პროგრამა წარადგინა

"საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა" იმ პროფესიების განვითარებაზე დაიწყო ზრუნვა, რომლებიც „ჯი-აი-ჯი ჰოლდინგში“ შემავალი კომპანიების წამყავნი სპეციალობებია. ამჯერად დარგის სპეციალისტებთან ერთად სამთო პროფესიების მოდულები დამუშავდა. მთავარი მიზანი დარგის აღორძინება, ბაზარზე დაბრუნება, პოპულარიზაცია და თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლაა.

კომპანიამ დაასრულა სამთო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტებისა და მოდულების გადამუშავების პროექტი. დარგის სპეციალისტებისა და განათლების ფასილიტატორების მიერ განხორციელდა სამთო საქმის პროფესიული სტანდარტების/მოდულების ანალიზი და შემუშავდა შესაბამისი პროგრამა. აღნიშნულ პროგრამაში გაერთიანებულია სამი მიმართულება - სამთო ტექნიკოსი, სამთო ელექტრომექანიკოსი და მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების საჯარო განხილვა მოხდა.

ახალი პროფესიული პროგრამა დაფუძნებული იქნება თანამედროვე სწავლების დუალურ პრინციპზე, რაც გულისხმობს საწარმოო პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას. მიმდინარე წლის შემოდგომიდან პროფესიულ სასწავლებლებს შეეძლება თანახლებული პროგრამის ფარგლებში სტუდენტების პირველი ნაკადის მიღება.



## პრესრელიზი

სამთო პროფესიები რომელთა სკოლებიც საქართველოში არსებობდა მიღევად რეჟიმზეა გადასული, ახალგაზრდები სულ უფრო ნაკლებად ინტერესდებიან, მაშინ როცა ამ სპეციალობებზე საქართველოში ბიზნესის მხრიდან მოთხოვნა არსებობს. ჩდება ცარიელი ნიშა რის გამოც ხშირად უცხოელი სპეცილისტების მოწვევა გვჭირდება. ამიტომაც კომპანია "ჯი-აი-ჯიმ" საკუთარ თავზე აიღო ამ სფეროს პროფესიული განვითარება.

5.07.2017

---

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

